დადგენილება # 1

რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი 9 ივლისი 2021

1. დამტკიცდეს რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის რეგლამენტი წარმოდგენილი სახით.

/ რეგლამენტი თან ერთვის/

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რეგიონული უნივერსიტეტების
რექტორთა კონფერენციის თავმჯდომარე პროფ.

დამტკიცებულია
რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის რეგლამენტი დადგენილებით # 1

რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის რეგლამენტი (შემდგომში ,,რეგლამენტი“) განსაზღვრავს რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის უფლებამოსილებათა განხორციელების წესსა და პროცედურებს.
2. საქართველოს რეგიონალური უნივერსიტეტების რექტორების კონფერენცია (შემდგომში კონფერენცია) არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც აერთიანებს საქართველოს რეგიონალურ უნივერსიტეტებს, კონფერენცია დაკავებულია რეგიონალური უნივერსიტეტების პრობლემებით, იხილავს ამ საკითხებს და საერთო პრობლემურ საკითხებს წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, და/ან შესაბამის სტრუტურებს.
3. კონფერენციის მართვის ორგანოა კონფერენციის წევრთა საერთო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობს კონფერენციის ხელმძღვანელი. კონფერენციის საერთო კრებას ხელმძღვანელობს კონფერენციის ხელმძღვანელი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონფერენციას წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში.
4. კონფერენციის ხელმძღვანელი აირჩევა კონფერენციის საერთო კრების მიერ ხმათა უმრავლესობით. რეგიონალური უნივერსიტეტების ხელმძღვანელებიდან 2 წლის ვადით. მომდევნო ხელმძღვანელის დასახელება შესაძლებელია საერთო კრების სხდომაზევე, და არჩევა ხდება კონფერენციის საერთო კრების უმრავლესობის მიერ
5. კონფერენციის თავმჯდომარის ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე ტარდება საერთო კრების თავმჯდომარის - კონფერენციის ხელმძღვანელის ახალი არჩევნები. ერთი და იგივე პირი ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ 2-ჯერ.
6. კონფერენციის სხდომის ოქმებს აწარმოებს კონფერენციის მდივანი, რომელსაც ირჩევს საერთოდ კრება კონფერენციის თავმჯდომარის წარდგინებით.
7. კონფერენციის პირველი სხდომა მოიწვევა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წლის 9 ივლისს

მუხლი 2. რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის უფლებამოსილება

1. კონფერენციის უფლებამოსილების ვადაა 2 წელი.

კონფერენცია:

1. კონფერენციას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მანდატი ხელი შეუწყოს რეგიონულ უნივერსიტეტებსს სერვისების/ოპერირების გაუმჯობესებისა და საკუთარი რესურსების ეფექტიან მართვაში
2. კონფერენციის მონაწილეები ითანამშრომლებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებული ერთობლივი პროექტების მოსამზადებლად და განსახორციელებლად, ერთობლივი კონფერენციებისა და სამეცნიერო ფორუმების მოსაწყობად. ინფორმაციის, ცოდნის, იდეებისა და გამოცდილების გაცვლის, კონფერენციის ხელმომწერი უნივერსიტეტების უფრო ქმედითი/ნაყოფიერი ფუნქციონირებისათვის
3. კონფერენცია კოორდინაციას გაუწევს ურთიერთობებს რეგიონალურ უნივერსიტეტებს შორის, ურთიერთობებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მმართველ ორგანოებთან, ბიზნესთან და მუნიციპალურ დაწესებულებებთან.
4. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. კონფერენცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე.

მუხლი 3. კონფერენციის სხდომის მოწვევა და მუშაობის წესი

1. კონფერენციის სხდომა მოიწვევა წელიწადში 2-ჯერ სხდომა მოიწვევა კოფერენციის თავმჯდომარის, კონფერენციის წევრების არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით. რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს კონფერენციის თავმჯომარეს კონფერენციის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით. კონფერენციის სხდომები იმართება რეგლამენტით განსაზღვრულ ვადებში.
2. კონფერენციის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. კონფერენციის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

4. კონფერენციის სხდომებს უძღვება თავმჯდომარე ან მისივე დავალებით კონფერენციის ერთ-ერთი წევრი. თავმჯდოამრის არყოფნის შემთხვევაში კი, კონფერენციის წევრთაგან არჩეული სხდომის თავმჯდომარე.

5. კონფერენციის საქმიანობის ორგანიზაციულ მხარეს უზრუნველყოფს კონფერენციის მდივანი.

6. კონფერენციის მდივანი თავმჯდომარესთან შეთანხმებით ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს კოფერენციის წევრებს. წევრებს უფლება აქვთ დღის წესრიგის პროექტში სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 დღისა, დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი.

7. კონფერენციის თავმჯდომარე, სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც კონფერენცია ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

8. კონფერენციის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომის მონაწილე წევრთა უმრავლესობა, ხმების გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

9. კონფერენციის სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა), გარდა კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. კონფერენციის წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.

11. კონფერენციის წევრს არა აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

12. კენჭისყრის პროცესის ჩატარებისას იკრძალება კონფერენციის წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

13. თავჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს, თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური არ არის ან ამოწურულია.

14. სხდომა შესვენების ჩათვლით გრძელდება არაუმეტეს 3 საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

15. მომხსენებელთა გამოსვლის (პროექტის წარმოდგენის) დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, ხოლო კონფერენციის წევრის მოსაზრების გამოთქმა - 5 წუთს.

16. რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი. შესაძლებელია განხორციელდეს სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

17. ოქმი მოიცავს: სხდომის თარიღს, დაწყებისა და დასრულების დროს. სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას. დღის წესრიგს. სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.

18. განსახილველ საკითხზე წარმოდგენილი წერილობითი განმარტებები დაერთვის ოქმს დანართის სახით.

19. ოქმს ხელს აწერს წარმომადგენლობითი კონფერენციის თავმჯდომარე
20. კონფერენციის დადგენილებას ხელს აწერს კონფერენციის თავმჯდომარე

მუხლი 4. კონფერენციის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. კონფერენციის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კონფერენციის თავმჯდომარე.
2. თავმჯდომარე უზრუნველყოფს კონფერენციის წევრთა დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას კონფერენციის მემორანდუმისა და წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად.
3. თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს კონფერენციის აქტების მიწოდება შესაბამისი უფლებამოსილი პირებისათვის.

მუხლი 5. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

წინამდებარე რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის დადგენილებით.